

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №

2019 წლის ..... ქ. ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილების შესაბამისად,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს:

ა) „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების განხორციელების დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობების შესახებ“ დებულება (დანართი 1);

ბ) ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების ფორმა (დანართი 2);

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული  
ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა“ ფარგლებში  
ფესტივალების განხორციელების დაფინანსების, ანგარიშგების  
წესისა და პირობების შესახებ**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ეს დებულება განსაზღვრავს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი საერთაშორისო ფესტივალების შესარჩევად სამუშაო ჯგუფის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 26 ოქტომბრის #2770 ბრძანების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ კონკურსის შედეგად შერჩეული იურიდიული პირების მიერ კულტურული ღონისძიებების/ფესტივალების განხორციელების, დაფინანსების, ანგარიშგების წესისა და პირობებს.

2. კონკურსში გამარჯვებული იურიდიული პირების დაფინანსება და საბოლოო ანგარიშგება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) პროგრამების მართვის განყოფილება (შემდგომში - განყოფილება).

**მუხლის 2. ღონისძიების განმახორციელებელი სუბიექტი**

1. ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები არიან „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი საერთაშორისო ფესტივალების შესარჩევად სამუშაო ჯგუფის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 26 ოქტომბრის #2770 ბრძანების საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ კონკურსში გამარჯვებული იურიდიული პირები (შემდგომში - ბენეფიციარი), რომელთა მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელება გათვალისწინებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ ქვეპროგრამით „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“.

**მუხლი 3. ხელშეკრულების დადება**

1. ქვეპროგრამით „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ გათვალისწინებული ფესტივალების განსახორციელებლად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და ამ დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ ბენეფიციართა შორის ფორმდება ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულების პროექტს, სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ამზადებს მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება.

3. ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. ბენეფიციარი ვალდებულია სამსახურს წარმოუდგინოს (მოთხოვნისამებრ) ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო ყველა დოკუმენტაცია (დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა,

საბანკო რეკვიზიტები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).

5. ხელშეკრულების დანართი (ხარჯთაღრიცხვა) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შესაძლებელია ხელშეკრულების დადების ეტაპზე დაზუსტდეს.

7. მხარეთა მიერ შესაძლებელია განისაზღვროს ავანსის გაცემის წესი და პირობები.

8. ავანსი გაიცემა საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების წესი განისაზღვრება, მხარეთა შეთანხმებით.

#### **მუხლი 4. ინსპექტებისა და ანგარიშების პირობები**

1. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოდან კონტროლს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას, სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი.

2. მონიტორინგის ჯგუფის წევრთა რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით.

3. მონიტორინგის ჯგუფის მუშაობას წარმართავს ჯგუფის ხელმძღვანელი.

4. ბენეფიციარი ვალდებულია, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, 15 დღის ვადაში, წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ, საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიში (**დანართი 2**), ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად (მათ შორის: ზედნადები; ანგარიშფაქტურა; საგადახდო დავალება; ინვოისი; ხელშეკრულება კონტრაქტორებთან, მიღება-ჩაბარების აქტი; უწყისი; სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი და სხვა).

5. მონიტორინგის ჯგუფი უფლებამოსილია ბენეფიციარისაგან მოითხოვოს ფაქტიური ხარჯვის დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტი.

6. მონიტორინგის ჯგუფი ფესტივალის მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ან ექსპერტი.

7. მონიტორინგის ჯგუფი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარუდგინოს მერს რეკომენდაცია კონკურსში ბენეფიციარის დაფინანსების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, პროექტით გათვალისწინებული მიზნების შეუსრულებლობის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8. მონიტორინგის ჯგუფი ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული 15 სამუშაო დღის ვადაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს და ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება.

9. ფესტივალის განმახორციელებელი ვალდებულია მონიტორინგია ჯგუფს წარუდგინოს მის მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი სრული დოკუმენტაცია. საბოლოო

ანგარიშსწორებისას ერთეულის ფასები კორექტირებული იქნება და გადაანგარიშდება ფაქტიური ხარჯების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა.

10. მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით).